

თემურ თოდუა

### საქართველოს შავიზღვისპირა ცენტრების სტატუსი (ახ.წ V-VI სს.)

საქართველოს შავიზღვისპირეთი ბიზანტიური სამყაროს სისტემაში ახ.წ. VI ს. 90-იან წლებში ჩაერთო. ზოგიერთი მკვლევარი ამ დროიდან ვარაუდობს საქართველოს შავიზღვისპირა ცენტრებში – ფასისში, აფსაროსში, პეტრაში, სებასტოპოლისსა და პიტუნტში ბიზანტიური გარნიზონების ჩადგომას [2, გვ. 173-178; 11, გვ. 81-82]. მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა არ ეთანხმება ამგვარ მოსაზრებას და ახ.წ. VI საუკუნემდე, აღნიშნულ ცენტრებში ბიზანტიური სამხედრო შენაერთების დისლოცირებას უარყოფს [7, გვ. 66; 12, გვ. 385; 8, გვ. 72]. მართალია V ს. ფასისსა და აფსაროსში ბიზანტიური გარნიზონები არ იდგნენ [7, გვ. 66-68], მაგრამ იგივეს თქმა სებასტოპოლისისა და პიტუნტის მიმართ ძალზე გვიმძიმს. მასობრივი არქეოლოგიური მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ V ს. სოხუმსა და ბიჭვინტაში არც თუ ისე მცირე რაოდენობით შემოდის ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელოსნოების V ს. ვერტიკალური პირიანი წითელლაკიანი ჯამების ფრაგმენტები, შემკული ცხოველების (დედფინი, თევზი, ტახი, შველი) რელიეფური გამოსახულებით. ბიჭვინტასა და სოხუმში V ს. საკმაოდ მკვეთრად ორიენტირებული კულტურული ფენის არსებობის ილუსტრაციაა კასტელუმების ტერიტორიაზე დაფიქსირებული სამოსური ამფორების ფრაგმენტები, მცირეაზიური ღია ფერის მარყუჟისებურყურიანი ჭრაქები; V საუკუნით დათარიღებული პრიალა ზედაპირიანი დოქების სახესხვაობები, ბადისებრ ორნამენტიანი მინის ჭურჭელი. რაც შეეხება მონეტებს, V ს. მათი ცირკულაცია თითქმის სრულიად გამქრალია, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ იმპერიის სხვა პროვინციების (მაგალითად, პანონიის) მსგავსად, აქაც IV ს. მონეტები V ს. ყოფილიყო მიმოქცევაში [6, გვ. 242]. მით უმეტეს, როცა IV ს. დასასრულიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მიმდინარეობდა მონეტების დევალვაციისა და ინფლაციის პროცესი, რის გამოც VI-I სს. ჯარისკაცებს ფულადი ანაზღაურება შეუწყდათ [5, გვ. №72]. აღნიშნულ დროს პიტუნტში ბიზანტიური გარნიზონის არსებობის სასარგებლოდ მტყვევლებს ასევე V ს. ბიზანტიელი ავტორის თეოდორიტე კვირელის (393-457 წწ.) ცნობა იოანე ოქროპირის პიტუნტში გადასახლებათან დაკავშირებით. პიტუნტი არის უკი-

დურესი საზღვარი პონტოსა და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“ [3, გვ. 50], რასაც დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და მას გარკვეული ანგარიში უნდა გაენიოს, მით უმეტეს, როცა თეოდორიტე ანტიოქიელია. ანტიოქიას კი, როგორც ცნობილია, მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა პიტიუნტთან და ამდენად მისი მოქალაქე, თანაც უმაღლესი სასულიერო პირი, კვირის ეპისკოპოსი თეოდორიტე კარგად უნდა ყოფილიყო ბიჭვინტის საშინაო საქმეებში გათვითცნობიერებული. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ V ს. პიტიუნტსა და სებასტოპოლისში ბიზანტიელთა მცირერიცხოვანი გარნიზონი მაინც იდგა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: V ს. პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა, რომელსაც რომაელებმა I-II სს. ჩაუყარეს საფუძველი, თითქმის მთლიანად მოშლილი ჩანს [5, გვ. 3-5]. მისი სრული ძალით ამოქმედება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა VI ს. 20-იანი წლებიდან ბიზანტიელებმა თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს ფასისში, აფსაროსში, ხოლო პიტიუნტსა და სებასტოპოლისში დამატებითი სამხედრო შენაერთები შეიყვანეს. აღნიშნული სისტემის ხასიათი და ამოცანები ამ დროსაც იგივე რჩებოდა, რაც I-IV სს. მას ევალებოდა კავკასიის რეგიონის გაკონტროლება და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ რომაულ ხანასთან შედარებით პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის არეალი VI საუკუნიდან გარკვეულწილად გაფართოვდა. ამიერიდან, დასავლეთ კავკასიის საუღელტეხილო გზების გასწვრივ იგება ციხესიმაგრეთა მთელი ქსელი (გვარდა, კამანა, შუბარა, ახიპსა და სხვ.), რომელიც პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის სახმელეთო ხაზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ხდება. ამავე დროს, მკვეთრად იცვლება პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვით სისტემაში შემავალი ზოგიერთი ზღვისპირა ცენტრების როლი და სტატუსიც. ასე მაგალითად, პიტიუნტი ახ.წ. III-IV სს. შედარებით, IV ს. პირველ ნახევარში, არც თუ ისე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული, პუნქტია, რაც კასტელუმის კედლის სისქის შემცირებაშიც გამოიხატა. თუ რომაული ხანის გალაგნის კედლის სისქე 3 მ აღწევდა, VI ს. პირველ ნახევარში 1.70-1.80 მ არ აღემატებოდა და თანაც ნაკლებად მონუმენტურობითაც ხასიათდება. დაახლოებით იგივე ითქმის სებასტოპოლისის თავდაცვით ნაგებობაზე, რომლის ფართობი ახ.წ. III-IV სს. შედარებით ძალზე შემცირებულია და 0.6-0.8 ჰა-ს არ აღემატება [3, გვ. 306-308]. მიუხედავად ამისა, სებასტოპოლისი

და პიტიუნტი VI ს. პირველ ნახევარშიც კვლავ ინარჩუნებენ სამხედრო-სტრატეგიული პუნქტის ფუნქციას. თანაც ისინი, III-IV სს. ციხე-ქალაქების მდგომარეობისაგან განსხვავებით, 535 წ. შედგენილი იუსტინიანე კეისრის ნოველის მიხედვით უფრო ციხესიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში“ [3, გვ. 33], მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხსენებული ცენტრები მხოლოდ ციხესიმაგრეებს წარმოადგენდნენ. ამგვარი დასკვნა აღნიშნული ნოველის კონტექსტიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს. აქ მხოლოდ ის ჩანს აშკარად, რომ პიტიუნტი და სებასტოპოლისი უპირატესად სამხედრო პუნქტები იყვნენ, ვიდრე სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრები, რაც კარგად დასტურდება ბიჭვინტის გათხრების მონაცემებით. ასე მაგალითად, კანაბის (სამოქალაქო დასახლება) გალავან-კოშკებით დაცული სივრცე, რომელიც VI ს. პირველ ნახევარში უნდა იყოს აღდგენილი, საკმაოდ მცირეა. გარდა ამისა, თვით კანაბის ზღუდე ნაკლებად მონუმენტურია. VI ს. პირველ მესამედში ნაგები ცალნავიანი, კამარით გადახურული ტაძარიც წინარე ხანის ეკლესიასთან შედარებით მცირე ზომისაა. მიუხედავად ამისა, პიტიუნტი ამ დროსაც ინარჩუნებდა საეკლესიო ცენტრის მნიშვნელობას, რასაც ადასტურებს პიტიუნტის საქალაქო თემის ფარგლებში არსებული VI ს. პირველი ნახევრით დათარიღებული განთიადისა და ალაჰადის ტაძრები [14, გვ. 66-67]. ამასვე მეტყველებს, აგრეთვე, ციხე-ქალაქის კედლის გარეთ, მისგან 400-500 მ დაშორებით აღმოჩენილი VI ს. ორაფსიდიანი ეკლესია [9, გვ. 125-131]. VI ს. პირველ ნახევარში, პიტიუნტი საწარმოო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს. ამას ადასტურებს ნაქალაქარის ტერიტორიაზე დადასტურებული მინის სახელოსნოსა და კირის გამოსაწვავი ქურის ნაშთები. VI ს. პირველი ნახევრისა და საერთოდ მთელი ამ საუკუნის კულტურული ფენა სუსტადაა გამოკვეთილი სებასტოპოლისშიც. ნაქალაქარის ზოგიერთ უბანზე კი ის საერთოდ არ დაფიქსირებულა. როგორც ჩანს, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის გათხრებისას მოპოვებული მასალები ზუსტად შეესაბამება იუსტინიანეს ნოველაში მოცემულ განსაზღვრას, რომ VI ს. პირველ ნახევარში ისინი უფრო ციხესიმაგრეებია, ვიდრე ქალაქები. შესაბამისად პიტიუნტი და სებასტოპოლისი ამ დროსაც სასაზღვრო ტიპის ციხე-ქალაქებია, მაგრამ III-IV სს. შედარებით, მცირე სიდიდის ციხე-ქალაქთა კატეგორიას უნდა განეკუთვნოს. ამგვარი კატეგორიის ცენტრი უნდა ყოფილიყო VI ს. შუა ხანებში აფსაროსი, რომელიც პროკოპი კესარიელის ცნობით, მისი დროისათვის სხვა

არაფერი იყო დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძიკველისა“ [2, გვ.24]. როგორც ჩანს, აფსაროსს უკვე დაკარგული აქვს უნიკალური მნიშვნელობა, მაგრამ ამ ხანაშიც იგი კვლავ მოქმედი ციხე-ქალაქია, რასაც მონუმობს არქეოლოგიური გათხრების მონაცემებიც. უკანასკნელ წლებში აფსაროსის კასტელუმის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა ე.წ. „კოშკიანი“ ნაგებობა. მის შიდა ფართობზე დაფიქსირდა VI ს. სუსტად გამოკვეთილი კულტურული ფენა, რაც გარკვეულწილად ადასტურებს VI ს. აფსაროსის სტატუსის ჩვენეულ განსაზღვრას. წერილობითი წყაროების თანახმად, აფსაროსთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ცენტრი იყო VI ს. პირველ ნახევარში პეტრა-ციხისძირი. პროკოპის ცნობით, პეტრას ციხე მტკიცე და საკმაოდ დიდი ზომისა ყოფილა, ხოლო მისი გარნიზონი მრავალრიცხოვანი და სამხედრო მანქანებით იყო აღჭურვილი [3, გვ. 86]. პროკოპისავე მოწმობით, პეტრა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ბიზანტიური გარნიზონების მთავარსარდლობის შტაბბინა, სტრატეგოსის რეზიდენციაც ხდება [3, გვ. 74]. როგორც ჩანს, VI ს. პირველ ნახევარში პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ფორპოსტის ფუნქცია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში აფსაროსიდან პეტრაში გადმონაცვლებულა. ამავე დროს, პეტრა-ციხისძირი, როგორც ეს პროკოპისა და იუსტინიანეს ნოველიდან ირკვევა, ნამდვილ ქალაქადაც გამოიყურება [3, გვ. 168-170]. თუმცა ამის დამადასტურებელი საამისო არქეოლოგიური მასალები ციხისძირიდან ჯერჯერობით არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ციხისძირში გამოვლენილი VI ს. დათარიღებული ბაზილიკა, აბანო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი [6, გვ. 42-51] აშკარად მოწმობენ, რომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში პეტრა საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთერთ მნიშვნელოვან სამხედრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ასეთივე მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო ამ დროს ფასისიც. პროკოპისა და აგათიას ცნობებით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ბიზანტიელთა 12 ათასიანი სამხედრო შენაერთებიდან 9 ათასი ჯარისკაცი მდ. ფასისის შესართავთან იყო დაბანაკებული [4, გვ. 98-100]. ამასთანავე ფასისის გარნიზონი ლოდსატყორცნი მანქანებით ყოფილა შეიარაღებული. ვფიქრობთ, ფასისი ამ ხანებშიც ინარჩუნებდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციასაც [2, გვ. 50]. ამრიგად, VI ს. პირველ ნახევარში საქართველოს შავიზღვისპირეთის მთელი რიგი ციხე-ქალაქები მართალია კვლავ რჩებოდნენ სამხედრო-სტრატეგიულ და

ეკონომიკური მნიშვნელობის ცენტრებად, მაგრამ III-IV სს. შედარებით, იქ შესამჩნევად შემცირებულია მშენებლობის ტემპი, ნივთიერი მასალაც საკმაოდ მცირეა. VI ს. შუა ხანებიდან კი საქართველოს შავიზღვისპირა ციხექალაქების მდგომარეობა ძალზე გართულდა. პროკოპის მოწმობით 542 წ. ბიზანტიელებს სპარსელების შიშით, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის სიმაგრენი დაუნგრევიათ [2, გვ. 222]. ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგადაა ასახული ამ ხანის ბიჭვინტის კულტურულ ფენებში. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ გათხრილ № 18 კოშკის ზედაპირიდან 2, 80 მ. სიღრმეზე დაფიქსირდა 10 სმ. სისქის VI ს. ნახანძრალი შრე, რომელიც თიხატკეპნილ იატაკზე იდო. თიხატკეპნილ მოყვითალო ფერის იატაკს ზოგან ეტყობოდა ძლიერი ხანძრის კვალი. ამავე შრეში დაფიქსირდა, ასევე ხის ძელების დანახშირებული ნაშთები. ნგრევის კვალი ნაქალაქარის სხვა უბნებშიც შეიმჩნევა. VI ს. შუა ხანებში უნდა იყოს დანგრეული №3 ბაზილიკაც და მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ჭაობის პირზე მდებარე 15.40x5.40 მ ოთხკუთხა ფორმის ორგანყოფილებიანი ნაგებობა. კანაბის აღმოსავლეთ გალავნის კედელზე მიდგმული 300 კვ. მ. ფართობის მქონე სათავსო, სადაც აღმოჩნდა 0.5 მ-ის სისქის ხორბლის დანახშირებული ფენა. აღნიშნულ ხანებში, ხანძრისა და ნგრევის კვალი, უკანასკნელი წლების გათხრების მონაცემებით, დადასტურდა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე. პროკოპის ცნობით, 551 წ. ბიზანტიელებს პეტრაც დაუნგრევიათ [2, გვ. 180]. 553-554 წლებს შორის უნდა იყოს დანგრეული, ასევე აფსაროსი. ნგრევის შემდეგ, აღნიშნულ ცენტრთაგან, აგათიას ნაშრომში პიტიუნტი არ ფიგურირებს, ხოლო VI ს. მეორე ნახევრის სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსები – მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე ბიზანტიელი, იოანე მალალა, ევაგარი სქოლასტიკოსი და სხვა, არა თუ პიტიუნტს, არამედ პეტრასა და აფსაროსსაც აღარ იხსენიებენ. როგორც ჩანს, VI ს. დასასრულისათვის, ამ უბნებებს უკვე დაკარგული აქვთ სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა და რიგითი დასახლების რანგამდე არიან ჩამოქვეითებულნი, რასაც არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალებიც მხარს უბამენ. ასე მაგალითად, ციხისძირში VI ს. მეორე ნახევრის ორი მონეტაა აღმოჩენილი [6, გვ. 101]. აქედან ერთი იუსტინე II-საა (565-578 წწ.), მეორე – მავრიკის (582-602 წწ.), ხოლო აფსაროსში VI-VII სს. მასალა ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. აღნიშნული ფაქტი ყველაზე უკეთ ბიჭვინტის ნაქალაქარზეა დაფიქსირებული. ნაქალაქარის მთელ რიგ უბნებზე და ბოლო

წლებში გათხრილი №18, 21 კომპლექსზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ VI ს. ნახანძრალი ფენები საგანგებოდ არის გადაფარული სტერილური ფენით [8, გვ. 74]. ნუმიზმატიკური მასალა კი ბიჭვინტაში VI ს. მეორე ნახევრის რვა მონეტითაა მხოლოდ წარმოდგენილი – ოთხი იუსტინე II და ოთხი მავრიკისა. როგორც ვხედავთ, ნგრევის შემდეგ პიტიუნტში, ისევე როგორც პეტრასში, აფსაროსში VI ს. მეორე ნახევრისა და VII ს. დასაწყისშიც საქალაქო ცხოვრება აღარ განახლებულა. რაც შეეხება სებასტოპოლისს, ბიზანტიელების მიერ მისი განადგურების შემდეგ, პროკოპის სიტყვებით „იუსტინიანე მეფემ მთელი ეს სებასტოპოლისი განაახლა ზღუდის და სასიმაგრო შენობათა წყალობით უძლეველი გახადა ის და გაამშვენიერა გზებითა და სხვა ნაგებობებით“ [3, გვ. 222]. სამწუხაროდ, ამგვარი ქალაქის დამდასტურებელი, არქეოლოგიური მასალები დღეისათვის სოხუმიდან არ მოგვეპოვება, მაგრამ სებასტოპოლისის რადიუსის ზონაში შემავალი დრანდის [10, გვ. 35-40], ნებელდის VI ს. მეორე ნახევრის ეკლესიები [14, გვ. 72-73], მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასობრივი არქეოლოგიური მასალები გარკვეულწილად მაინც მოწმობენ პროკოპის ცნობის სისწორეს. შესაბამისად კი მის ქალაქობასაც. მაგრამ მისი გაქალაქება, ისევე როგორც პეტრასი, პიტიუნტისა და აფსაროსის აღდგენა-განახლებაც განპირობებული იყო არა მათი ადგილობრივი ეკონომიკური ბაზის სიმძლავრით, არამედ სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით. თავდაპირველად ბიზანტიური სიმაგრეებიდან აღდგენილი ეს ცენტრები რომელთაც კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა ევალებოდათ, ბიზანტიელთა მიერ გატარებული სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიების შედეგად, საქალაქო ცენტრებიც ხდებოდა, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისინი სასაზღვრო ტიპის, მილიტარისტული ხასიათის ციხექალაქებად რჩებიან, ვინაიდან ამ ცენტრების მეურნეობა სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებს უფრო ექვემდებარებოდა, ვიდრე სამოქალაქოს. ე.ი. ხსენებული ცენტრები სამხედრო ინტერესებით განპირობებული სპეციფიური ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა. მართალია, ზოგიერთი ზღვისპირა პუნქტი (პიტიუნტი, პეტრა, აფსაროსი) ახ.წ. V-VI სს. ციხე-ქალაქის მდგომარეობას არ გასცილებია, მაგრამ ამგვარი თეზა ფასისის მიმართ არ უნდა გავრცელდეს. როგორც ცნობილია, ფასისი ჯერ კიდევ III-IV სს. მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო [2, გვ. 173-178]. კიდევ მეტი, თუ გავიზიარებთ მიქელ ასურის

სომხური თარგმანის ცნობას, რომლის თანახმადაც ლაზთა ასის-თავმა კვართის ნაწილი ეგრთა ქვეყნის დედაქალაქში – ფოთში ჩამოიტანა [1, გვ. 212-213]. არ არის გამორიცხული, რომ არქეოპოლისის (დღევანდელი სოფ. ნოქალაქევი) აგებამდე, ფასისი ლაზთა სამეფოს დედაქალაქიც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია: განხილულ პუნქტთაგან გვიანრომაულ-ადრებიზანტიურ ხანაში ქალაქის ფუნქციის შესრულება მხოლოდ ფასისს შეეძლო, რამდენადაც ის ეკონომიკურად ყველაზე დანიანურებულ რიონის აუზში მდებარეობდა. სწორედ ადგილობრივი ეკონომიკური ბაზისა და უპირატესად შინაგანი ეკოლოგიური განვითარების შედეგად უნდა მომხდარიყო მისი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრად დარჩენა, მიუხედავად დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური კატაკლიზმებისა. ამის გამო პიტიუნტის, აფსაროსის, სებასტოპოლისის ფონზე, VI ს. მეორე ნახევრისთვისაც კი, ფასისი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ნამდვილ ქალაქად დარჩა. VII-VIII სს. აფხაზეთის სამთავროს დანიანურებასთან დაკავშირებით, ზღვისპირა ცენტრების სტატუსი ისევ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ მისი შესწავლა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა, რაც ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს სცდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი მ., ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXVI, 1944
2. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბ., 1961
3. გეორგიკა., ტ. 2, თბ., 1965
4. გეორგიკა., ტ. 3, თბ., 1966
5. თოდუა თ., რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი. – სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1995
6. ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1993
7. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968
8. ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991
9. მიქელაძე თ., ბიჭვინტის ორაფსიდიანი ეკლესია. – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბ., 1963

10. ცინცაძე ვ., დრანდა. ძეგლის მეგობარი, № 50, 1979
11. Леквинадзе В.А., Понтийский лимес, Вестник древней истории, № 2, 1969
12. Меликишвили Г.А., К истории древней Грузии, Тб., 1959
13. Трапш М.М., Труды, 2, Сухуми, 1969
14. Хрушкова Л.Г., Цандриш, Сухуми, 1969
15. Miller F., The Roman Empire and his neighbours. London, 1985
16. Oliva P. Pannonia and the onset of crisis in the Roman Empire. Praha, 1952

T. T. Todua

### **Status of the Sea Centers in Georgia** (5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> century AD)

#### Summary

The Black Sea shore of Georgia was included into the Byzantian world at the end of the 4<sup>th</sup> century AD. Byzantines troops were dislocated in some of its centers (Pitiunt, Sebastopolis), and in Apsar, Petra and Fasis in the 6<sup>th</sup> century AD. City life was very active in these centres. However, major centers remained to be mainly fortifications on the frontier line. Only Fasis managed to remain as a significant city centre in the 6<sup>th</sup> century AD.